

0311 ეკონომიკა ECONOMICS

**კვლევა და ანალიზი მსოფლიოსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე,
რჩევები და რეკომენდაციები**

თამარ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
E-mail: tamar_chachanidze@yahoo.com

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში გადმოცემულია მსოფლიოსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების კვლევისა და ანალიზის შედეგები. მოცემულია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი განვითარებისათვის საჭირო, შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები. აღწერილია ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზრის განვითარების მიმდინარეობა და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

დადგენილია, რომ ფასიანი ქაღალდების თანამედროვე მსოფლიო ბაზრის განვითარება, გარდა საერთო ეკონომიკური ტენდენციებისა, ხასიათდება აგრეთვე სპეციფიკური ტენდენციებითაც, რაც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს საფონდო ბირჟაზე და გლობალური ბაზრის საბაზრო კაპიტალიზაციაზე. მოცემულია ბირჟების მსოფლიო ფედერაციის 2019 წლის ანგარიშის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიცირება საფონდო ბაზრების კონცენტრაციის მიხედვით, რომელიც ლიდერობის მხრივ შემდეგნაირად ლაგდება: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია და კანადა, შვეიცარია და ავსტრალია და სხვა ქვეყნები.

სტატიაში მოყვანილია ნიუ-იორკის, ტოკიოს და ლონდონის საფონდო ბირჟების კაპიტალიზაციისა და ტრანზაქციების მონაცემები, მათი მიმდინარე ინდექსის მნიშვნელობები. კვლევისა და ანალიზის გარკვეული ნაწილი სტატიაში ეთმობა საქართველოს საფონდო ბირჟას, მის დაფუძნებას, ლიცენზირებას, საფონდო ბირჟის ინფრასტრუქტურას, ინდექსს, საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში მოქმედ კომპანიებს და საერთო საბაზრო კაპიტალიზაციას, საინვესტიციო გარემოს.

სტატიის დასასრულს მოცემულია დავასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები რაც გამოიწვევს ბაზრის აქტიურობას მოთხოვნების, ფასებისა და კაპიტალიზაციის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდი, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი, ნაციონალური ბაზარი, საფონდო ბირჟა, ინდექსი, აქცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ტრანსნაციონალური კაპიტალი, მარეგულირებელი ჰარმონიზაცია და ცენტრალიზაცია.

შესავალი

ფასიანი ქაღალდების მსოფლიო (საერთაშორისო) ბაზარი თავისი არსებობის დაახლოებით 150 წელს ითვლის და მისი განვითარების მზარდი პროცესი წარმოადგენს ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში ტრანსნაციონალური კაპიტალის მოძრაობაზე.

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარების საწყისი ეტაპი იყო ფასიანი ქაღალდების ნაციონალური ბაზარი, რაც შემდგომში მოგვევლინა (გადაიზარდა) მსოფლიო ბაზრის დიფერენცირებად სეგმენტად. დადგენილი წესებისა და კანონების გათვალისწინებით, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზებას და ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საფონდო ბირჟა, როგორც ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტი.

ფასიანი ქაღალდების გამოჩენის საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ შიგა მოხმარების სერვისების არსებობას. ანუ, ყველა ქვეყანა ვაჭრობდა თავიანთ ტერიტორიაზე - ამერიკელები ვაჭრობდნენ ნიუ-იორკში, ბრიტანელები ვაჭრობდნენ ლონდონში და იაპონელები ვაჭრობდნენ ტოკიოში. ეს იყო მარტივი პროცესი და მარტივად სარეგულირებელი ამოცანა, რომელშიც ფასიანი ქაღალდების ტრანზაქცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრები თავისი შიგა ხასიათით ემორჩილებოდა ეგრეთწოდებულ პოლიტიკურ გეოგრაფიას [1].

ცხადია, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარებამ გამოიწვია მისი შიდა ბაზრების ლიკვიდირება. ეს პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 60 - 70-იან წლებში და მოკლე ხანში (1980-იან წლებში) შიდა ბაზრების ფუნქციონირება თითქმის ყველგან მთლიანად შეწყდა. დღეისათვის, შიდა ბაზრები ტრანსფორმირებული არის ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრებად, რის მეშვეობითაც გაჩნდა შესაძლებლობა, იაპონელმა ინვესტორებმა ივაჭრონ ლონდონსა და ნიუ-იორკში და პირიქით. ეს პროცესი მიმდინარეობს ისევე მარტივად, როგორც ადგილებზე – თავიანთ ქვეყანაში ვაჭრობის შემთხვევაში. ასევე, საყურადღებო ფაქტია, რომ ლონდონი წარმოადგენს საბროკერო სახლებისა და საინვესტიციო ბანკების მასპინძელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საკმაოდ მოკლე პერიოდში, ფასიანი ქაღალდების ბაზრების ინტერნაციონალიზაციამ ისეთ მაღალ დონეს და ხარისხს მიაღწია, რომ შიდა ბირჟები მორგებულია შიდა ინვესტორების მოთხოვნებზე და გათვლილია ფასიანი ქაღალდების უცხოური ბაზრის რისკებზე.

ძირითადი ნაწილი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთაშორისო განვითარების მასშტაბურობამ დღის წესრიგში დააყენა ამ პროცესის რეგულირების გარდაუვალობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის გამართული, უსაფრთხო და ეფექტიანი მუშაობა. ბაზრის რეგულირება გულისხმობს გარკვეული წესების, აკრძალვებისა და კონტროლის მექანიზმების და პრინციპების არსებობას. იგი მკაცრად რეგულირდება საერთაშორისო, ეროვნულ და შიდა დონეზე. ამავე დროს, საერთაშორისო რეგულაცია ითვალისწინებს საერთაშორისო და ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობას. გლობალურ დონეზე ხდება გამოცდილების გაცვლა, საერთო სტანდარტების ჩამოყალიბება, იდება ხელშეკრულებები. ხოლო სახელმწიფო რეგულირება ამუშავებს ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს, ახდენს ლიცენზირებას და კონტროლს. საინტერესოა ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩართულობა. მათი როლია ინდივიდუალური და პროფესიონალი ინვესტორების ინტერესების დაცვა, უფლება აქვთ შექმნან საკომპენსაციო ფონდები, გაერთიანდნენ სხვადასხვა კავშირებში, საჭიროების შემთხვევაში მიმართონ სასამართლოებს.

ბაზრის რეგულირების მიზნები და პრინციპები უნდა მოიცავდეს ძალაუფლების გადანაწილებას, სადაც მთავარი მარეგულირებელი რგოლი არის სახელმწიფო (გამოსცემს კანონებს, აყალიბებს სამოქმედო ჩარჩოებს და ახორციელებს საბაზრო პოლიტიკას). რა თქმა უნდა, სახელმწიფო იცავს თავის ქვეყნის ეკონომიკურ და მოქალაქეების ინტერესებს და გარკვეულ ფუნქციებს გადასცემს თვითრეგულირების ორგანიზაციებს. რეგულირება უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო, ტექნოლოგიური და პროცედურული წესების დაცვით. ყველა მონაწილე: ემიტენტები (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ორგანო, ბანკი, სხვადასხვა დაწესებულება და ა.შ.), ინვესტორები და სხვ. სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

ფასიანი ქაღალდების ინტერნაციონალიზაციის (საერთაშორისო) რეგულირების საუკეთესო მოდელი ეფუძნება მარეგულირებელ ჰარმონიზაციასა და ცენტრალიზაციის პრინციპებს.

ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებობს ხუთი განსხვავებული მიდგომა და მოიცავს [2]:

1. მარეგულირებელ კონკურენციას,
2. მარეგულირებელ კონვერგენციას,
3. მარეგულირებელ ურთიერთდარებას,
4. მარეგულირებელ ჰარმონიზაციას,
5. ცენტრალიზებულ გლობალურ რეგულირებას.

ამ ხუთი მიდგომის გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია მარეგულირებელი პროცესისათვის საჭირო თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხზე, მარეგულირებელი კონკურენციიდან დაწყებული, ცენტრალიზებული გლობალური რეგულირებით დამთავრებული. ამ პროცესში ანუ მარეგულირებელი კონკურენციიდან ცენტრალიზებულ გლობალურ რეგულაციამდე გადასვლისას, ხდება მარეგულირებელი კონვერგენციის, მარეგულირებელი ურთიერთ აღიარების და მარეგულირებელი ჰარმონიზაციის გავლა, თანაც ისე, რომ თითოეული მიდგომისას თანდათან იზრდება თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო რეგულირების ხუთი მიდგომა განსხვავებულია, ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ და ზოგჯერ გადაკვეთენ და გადაფარავენ კიდევ ერთმანეთს.

ჩვენი მიზანია, აღნიშნული ინფორმაციის ფონზე, გამოვიკვლიოთ, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად მსოფლიო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რა წილი აქვს საქართველოს ამ პროცესში და მიღებული შედეგის ანალიზის გამოყენებით დავამუშავოთ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების შესაბამისი რეკომენდაციები. ამისათვის საჭიროა უახლესი სტატისტიკური მონაცემების მოძიება და გაანალიზება.

ცხადია, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის არსებული მდგომარეობის შესწავლა-ანალიზისათვის ინფორმაცია უნდა მოვიპოვოთ ისეთი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმებიდან, როგორიცაა ნიუ-იორკის, ტოკიოს, და ლონდონის საფონდო ბირჟა. რაც შეეხება თეორიული კვლევის მეთოდებს, ვფიქრობთ, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ მოდელირების, რაოდენობრივი, ხარისხობრივი, შედარებითი ანალიზის და სინთეზის მეთოდები [3].

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მონაწილესათვის მთავარ კრიტერიუმს და ძირითად სამოქმედო ინფორმაციას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის მუშაობის შეფასების მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება საფონდო ბაზრის ინდექსის საშუალებით. საფონდო ინდექსი ფაქტობრივად აჩვენებს სწრაფცვალებადი ბაზრის დინამიკას და ტენდენციას. ასეთ ცვალებად ბიზნესგარემოში ინდექსის ანალიზით (არსებული მდგომარეობის წინა ინდექსების მაჩვენებლებთან შედარებით) განისაზღვრება ბაზარზე მიმდინარე პერიოდის მაკროეკონომიკური სიტუაცია. ეს კი ხელს უწყობს ბიზნესმენს მოგების დაანგარიშებასა და ეფექტიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის ძირითად მონაწილეებად სახელდება (გვევლინება) შემდეგი მთავარი მოქმედი ჯგუფები:

1. საფონდო ბირჟები და შესაძლო სავაჭრო სისტემები;
2. ბაზარზე პირდაპირ ან ირიბად მოვაჭრე განსხვავებული ფინანსური კომპანიები და ფონდები;
3. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, რეგიონული განვითარების ბანკები და სხვ.

ჩამოთვლილი მონაწილეების მიერ ბაზარზე შემოდის საბაზრო ინფრასტრუქტურის მეშვეობით დაგროვილი და გადანაწილებული დიდი რაოდენობით სახსრები [4].

ბირჟების მსოფლიო ფედერაციის 2015-2019 წლების მონაცემებით, გამორჩეული ავტორიტეტული პოზიცია სავალუტო ვაჭრობაში აქტივობის მიხედვით ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებს უკავიათ და შესაბამისად, კაპიტალიზაციის დონე 38 მილიარდი აშშ დოლარია. შემდგომ მოდის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოები, სადაც კაპიტალიზაციის ოდენობა 32 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო მესამე ადგილზე დგას ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები და აფრიკის რეგიონის ქვეყნები, სადაც კაპიტალიზაციამ 20 მილიარდ დოლარს მიაღწია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ წელიწადში (2018 – 2019) კაპიტალიზაციის ზრდის ტემპი შესაბამისად იყო – ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებში 22%, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოებში 28%, ევროპისა და

ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები და აფრიკის რეგიონის ქვეყნები 6%. ბირჟების მსოფლიო ფედერაციის 2019 წლის ანგარიშის საფუძველზე, საფონდო ბაზრების კონცენტრაციის კლასიფიკაციაში სიას ლიდერობენ შეერთებული შტატები (53%), იაპონია (8%), დიდი ბრიტანეთი (6%), შემდეგ მოდის ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, კანადა, შვეიცარია, ავსტრალია და სხვა ქვეყნები, ერთად აღებული 33% [3].

მოძიებული ლიტერატურის ანალიზის შედეგების საფუძველზე ვასკვნით, რომ ბრუნვის მიხედვით აშშ-ს საფონდო ბაზარი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მოცულობით ბაზარს. შესაბამისად, იგი, განსაკუთრებით კი ნიუ-იორკის უძველესი საფონდო ბირჟა (დაარსდა 1792წ. საფონდო ბირჟა განისაზღვრება ინდუსტრიული კომპანიების აქციებით მსოფლიოში ცნობილი დოუ ჯონსის ინდექსის მიხედვით. მასში შედის 30 მსხვილი კომპანია სახელწოდებით "blue chips". მათ შორისაა მსოფლიოში ცნობილი Amegisap Express, Apple, Chevron, Coca-Cola, IBM, Microsoft, Procter&Gamble, Intel და ა.შ. [3]), მთლიანობაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფინანსური ძალაუფლებისა და ინდუსტრიის სიმბოლო. 2016 წლიდან 2019 წლამდე შიდა კომპანიების აქციების მოცულობამ 25,068 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება ლონდონის საფონდო ბირჟას (ისტორია 1570 წლით თარიღდება, ხოლო ოფიციალური დარეგისტრირდა 1801 წელ), მისი წამყვანი ინდექსია FTSE 250, ხოლო ინდექსის კომპონენტების საერთო რაოდენობა 238. მათ შორისაა: IG Group, Intermediate Capital, Rmodp Americap, JP Magda Indian, Ncma Rahma და სხვ. 2017-2019 წლების ანგარიშის მიხედვით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციების განხორციელებისას, ადგილი აქვს ზრდის ტემპს წინა წლებთან შედარებით. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას ყველაზე მეტი ადგილი დაიჭირა აქციებმა, შემდგომ მოდის ობლიგაციები და შემდგომ კი დერივატივები (ფინანსური ინსტრუმენტი რომელიც წარმოებულია სხვადასხვა საბაზო აქტივისგან). 2019 წელს საფონდო ბირჟაზე აქციებით 23-ჯერ მეტი გარიგება განხორციელდა, ვიდრე ობლიგაციებით.

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთი უდიდესი აზიური საფონდო ბირჟა არის ტოკიოს ბირჟა (ოფიციალურად გაიხსნა 1878 წელს). ბირჟის მთავარი ინდექსია «NIKKEI 225». მათ შორისაა Wahoo Jarap, Yamato Holdings, Mitsubishi Electric, Nissan Motor და სხვ. ბირჟაზე 30-მდე უცხოური კომპანიისა და იაპონური მწარმოებლის 2300 ფასიანი ქაღალდი იყიდება. ტოკიოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით განხორციელებული ოპერაციების მოცულობა 2017 წელს ბირჟაზე ვაჭრობის 10.7%-ს უდრიდა; 2018 წელს 9.5%, ხოლო 2019 წელს 8.1%. [3]. როგორც ვხედავთ, ტოკიოს ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობის ზრდის დინამიკა ყოველწლიურად დადებითი შედეგით ფიქსირდება.

ჩვენ მიერ მოძიებული და დამუშავებული ლიტერატურის [1 ÷ 8] ანალიზმა გვაჩვენა რომ ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მსოფლიოს ფინანსური ცენტრები. რაც შეეხება ნიუ-იორკის, ლონდონისა და ტოკიოს საფონდო ბირჟებს ეს ინტიტუტები ყოველწლიურად გვთავაზობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ახალ თანამედროვე მეთოდებს. აღსანიშნავია, მათ მიერ შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საფონდო ბირჟაზე, საერთაშორისო და სანდო ბანკების გამოყენება კომპანიებს, ბანკებსა და სახელმწიფოებს შორის უნაღდო ანგარიშსწორებისათვის (კლირინგში), საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებთან ერთობლივი მუშაობა მონაწილეთა შორის დავაში, კომპანიების ჩამონათვალის მკაცრი წესების დაწესება, საფონდო ბირჟაზე პირველად შემოსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული საფონდო ბირჟების რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსხვავებებისა, ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან – ფასიანი ქაღალდების გლობალურ ბაზარზე არ დათმონ თავიანთი ლიდერული პოზიციები და მუდმივად იმუშაონ თავიანთი ავტორიტეტის, იმიჯის და წამყვანი პოზიციების კიდევ უფრო მაღალ ხარისხში წარმოჩენაზე.

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში საფონდო ბირჟა 1999 წლის იანვარში დაფუძნდა (ლიცენზირება გაიარა 2000 წ. იანვარში, ბირჟის ინდექსია - GSX). ბირჟის დაფუძნების ინიციატორები იყვნენ იმ დროს საქართველოში ფუნქციონირებადი მოწინავე საბროკერო კომპანიები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიების და საინვესტიციო ფონდები. ბირჟის დაფუძნებაში დიდი როლი ითამაშა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და ამერიკელმა წამყვანმა ექსპერტებმა და კონსულტანტებმა.

2024 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში მოქმედებაში იყო 28 კომპანიის ფასიანი ქაღალდები, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია შეადგენს 6,04 მილიარდ ლარს.

საქართველოს საფონდო ბირჟა, როგორც ფასიანი ქაღალდების კარგად ორგანიზებული ბაზარი, თანხვედრაშია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკის მოთხოვნებთან. იგი ადგილობრივი და უცხოური ინვესტორებისათვის ქმნის ეფექტიან საინვესტიციო გარემოს.

როგორც საინფორმაციო წყარო [9] მიუთითებს, 2000 წელს საქართველოში არსებობდა ლიცენზირებული საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი, 38 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 8 რეგისტრატორი. ყველაფერი ეს ქმნიდა საფონდო ბირჟის ინფრასტრუქტურის ეფექტიან ფუნქციონირებისათვის ნორმალურ გარემოს. ამის შედეგად, ფასიანი ქაღალდების ბაზარმა ნელნელა დაიწყო ნდობის მოპოვება. 2007 წელს საფონდო ბაზარმა მაღალ ნიშნულს მიაღწია. ამის შემდეგ, საბირჟო კანონმდებლობაში რიგი ცვლილებების შეტანის «დამსახურებით» ბაზარი მკვეთრად იწყებს კლებას, ქრება ლიკვიდურობა და საგრძნობლად კლებულობს გარიგებების მოცულობა. გატარებული ღონისძიებების და უცხოური ინვესტიციების მოცულობის საგრძნობი ზრდის მეშვეობით, 2015 წლიდან საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია იწყებს ზრდას და ორ წელიწადში (2017 წ.) აღწევს მაღალ ნიშნულს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2017 წლისთვის, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2023 წლამდე ფაქტობრივად ისტორიული მაქსიმუმია [10].

დასკვნის, რეკომენდაციის და რჩევების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაციას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. აღნიშნული კავშირი მიგვითითებს ბირჟაზე მოქმედ კომპანიებზე პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების ოპერაციებზე, რაც უდავოდ იწვევს კომპანიის აქციებზე მოთხოვნების, ფასებისა და კაპიტალიზაციის ზრდას.

გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთდროულად ახდენს გავლენას ინვესტორებისა და საბაზრო განწყობაზე, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და მდგრადი ეკონომიკისადმი ნდობაზე, შესყიდვების აქტივობასა და საბაზრო კაპიტალიზაციის მატებაზე, დასაქმების ხელშეწყობაზე.

აქედან გამომდინარე, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტირებისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქვეყნის საფონდო ბირჟის გამართული ფუნქციონირება, დაცული საინვესტიციო გარემოს არსებობა და ნდობის მაღალი ფაქტორი, რაც უცხოელ ინვესტორს გაუღვივებს ინტერესს და სტიმულს მიცემს ინვესტირების განსახორციელებლად.

ლიტერატურა

1. Ishida, Shigehiro, Yokoyama Kazuki. Origins of the Tokyo Stock Exchange: Path Dependence of Trading Systems Tokyo Stock Exchange, Inc., Graduate School of Economics, Nagoya City University 15 October 2023.

2. Eric. C. Chaffee, The Internationalization of Securities Regulation: The United States Government's Role in Regulating the Global Capital Markets, 5 J. Bus. & Tech. L. 187 (2010) Available at: <https://digitalcommons.law.umaryland.edu/jbtl/vol5/iss2/2>.
3. Dabyltaeva N.E., Galymzhan D.E. Current state of the world securities market. ECONOMIC Series of the Bulletin of the L.N. Gumilyov ENU, № 4/2020.
4. Гонов А.А., Луценко А.В., Медведева М.А. Инструменты рынка ценных бумаг: учебное пособие. - Екатеринбург: Изд-во Уральского университета, 2015. - 156 с.
5. Electronic Order Book Trading Journal 2019. [Electronic resource] - URL: <https://docs.londonstockexchange.com/sites/default/files/reports/LSEG%20market%20report%20December%202019.pdf> (Accessed: 15.09.2020)
6. Electronic resource - URL: https://www.jpex.co.jp/english/markets/statistics-equities/monthly/b5b4pj0000020ktt-att/16_allse1801.pdf (Accessed: 15.09.2020)
7. Electronic resource - URL: https://www.theice.com/publicdocs/data/NYSE_Global_Index_Group_Monthly_performance_report_201812.pdf27 (Accessed: 15.09.2020).
8. Ishida, Shigehiro and Kazuki Yokoyama. (2023). Meijiki Tokyo Kabushiki Torihikijo no Kabushiki Torihiki Seido (Stock Trading Institutions in the Tokyo Stock Exchange during the Meiji Period). JPX Working Paper No.41 (the Japanese version), Japan Exchange Group, Japan.
9. სამხარაძე მ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, <https://geoeconomics.ge/?p=14743.21/06/2023>.
10. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

Research and analysis on World and Georgian Stock Exchanges, advice and recommendations

Tamar Chachanidze

Abstract

The scientific article presents the results of research and analysis of the functioning of the world and Georgian securities markets. Based on the research results, relevant advice and recommendations necessary for the effective development of the securities market are provided. The development process of the global securities market and its current state are described. It has been established that the development of the modern world securities market, in addition to general economic trends, is also characterized by specific trends that have a noticeable impact on the stock exchange and global market capitalization. According to the World Federation of Exchanges 2019 report data, the classification of world countries by stock market concentration is arranged as follows in terms of leadership: United States, Japan, United Kingdom, China, France, Germany and Canada, Switzerland and Australia, and other countries. The article presents capitalization and transaction data for the New York, Tokyo, and London stock exchanges, along with their current index values.

A certain part of the research and analysis in the article is devoted to the Georgian Stock Exchange, its establishment, licensing, stock exchange infrastructure, index, companies operating in the stock exchange trading system, and total market capitalization, investment environment. The article concludes with conclusions, recommendations, and advice that will lead to increased market demand for shares, prices, and capitalization.

Keywords: Securities, International Securities Market, National Market, Stock Exchange, Index, Stock, Securities Market Capitalization, Foreign Direct Investment, Transnational Capital, Regulatory Harmonization and Centralization.